წერილის ნომერი:**02-1082436619**
თარიღი: **31/12/2024**

ადრესატი:

კობა მურადაშვილი
დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

,,დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე საბჭოს“

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 28 თებერვალს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ,,დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა“, რომლის ფარგლებშიც გაიწერა შშმ პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა.

დამტკიცებული სამოქმედო გეგმით ფუნქციების მიხედვით მერიაში მოქმედ სამსახურებს და ა(ა)იპ ორგანიზაციებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა სამოქმედო გეგმაში გაწერილი ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც ითვალსწინებს:

- დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების ადაფტირებას:
- დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მოსაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას;
- რეკრეაციული სივრცეების ადაფტირებას;
- მუნიციპალური ტრანსპორტის ადაფტირების დაწყება შშმ პირებისათვის;
- სპორტულ ღონისძიებებში შშმ პირების მონაწილეობის წახალისებას;
- შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის გარანტიების გაძლიერებას;
- მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის ფარგლებში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას;
- საინფორმაციო შეხვედრების მოწყობას და ტრეინინგების ჩატარება შშმ პირებთან მათთან კომუნიკაციის სტრანდარტებზე;

,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო“ დაკომპლექტდა 2 შშმ პირით და შესაბამისად საბჭოს სხდომები უფრო აქტიური და შედეგზე ორიენტირებული გახდა.

საბჭო აქტიურად იყო ჩართული მერიაში მოქმედ სოციალურ პროგრამებში, რომლებიც შშმ პირთა საჭიროებებზეა მორგებული.

მიმდინარე წელს ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭომ“ 5 შეხვედრა ჩაატარა, რომლებიც აისახა ოქმში:

1. 15 მაისს ჩანიშნულ შეხვედრაზე მოწვეულები იყვნენ ა(ა)იპ ,,თანაბარი შესაძლებლობები თანასაწორობისათვის“ და ა(ა)იპ ,, ბავშვი, ოჯახი საზოგადოება“, რომლებსაც განახორციელეს პროექტი **,,არაფერი ჩვენზე ჩვენს გარეშე“.** მათ მერიას (უშუალოდ სოციალურ სამსახურს) შესთვაზა წინადადება მომავალი წლისათვის ახალი სოციალური სივრცის ,,დღის

ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე.

მიმდინარე წელს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურმა დაიწყო მუშაობა აღნიშნულ საკითხზე, საბჭოს წევრები დაესწრნენ ტრეინინგს, რომლის მიზანი იყო მერიებში არსებული შშმ პირთა საბჭოების მხარდაჭერა და გაძლიერება.

2. 3 ივნისს ჩანიშნულ შეხვედრაზე საბჭომ მოისმინა მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ პროგრამის ,,18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მუნიციპალური ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 06)“ ფარგლებში გაწეული მომსახურებების შესახემ ინფორმაცია, კერძოდ:

- 97 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს ჩაერიცხა 100 ლარის ოდენობა 1 ივნისის დღესთან დაკავშირებით;

- 40 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს გადაეცათ სასაჩუქრე კალათები.

3. 30 სექტემბერს საბჭო შეიკრიბა მერიაში მოქმედი ,,ქალთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით (პროგრამული კოდი 06 02 09)“ ფარგლებში შშმ პირი ქალის ვიკა ყულიაშვილის სწავლების დაფინანსებისათვის, რომელიც გაივლის 2 თვიან სასწავლო სამედიცინო კურსს ,,ფიზიოთერაპია“ ქალაქ თბილისში (სწავლების საფასური შეადგენს 1500 ლარს). საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ვიკა ყულიაშვილის სწავლების დაფინანსების თაობაზე;
4. 17 დეკემბერს გაიმართა რიგგარეშე სხდომა, საქართველოს წითელი ჯვრის ასოციაციამ მუნიციპალიტეტს გადასცა ჰუმანიტარული დახმარება (ტანსაცმელი), გადანაწილდა 35 ოჯახზე, მათ შორის 11 შშმ პირის ოჯახს.

,,დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საბჭოსთან“ წლის განმავლობაში განსაკუთრებულად აქტიური თანამშრომლობა ქონდა მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურთან.

საბჭოს შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა 27 დეკემბერს. მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურმა საბჭოს წარუდგინა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 დეკემბრის დადგენილება N37 ,,დმანისის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“. პროგრამა დაიწყება 2025 წელს. სამსახურმა წარმოადგინა გაწეული საქმიანობის დეტალური ანგარიში:

1. ტრეინინგები, ათეას მიერ ორგანიზებული, რომელიც ხელს უწყობდა პროგრამისათვის საბოლოო სახის მიცემას;

- მოძიებულ იქნა პროგრამიდან გამომდინარე ,,მომსახურების რეგისტრაციის წესის“ შესაბამისად ა(ა)ოპ ,,სტუდია ეი დი სი“, რომელიც დარეგისტრირდა დმანისის მუნიციპალიტეტში მომწოდეგლად;

- ,,შშმ პირთა პესონალური ასისიტენტის მომზადების სასწავლო (სატრეინინგო) პროგრამა“ გაიარა 6 - მა პირმა. ტრეინინგები ჩაატარა ასოციაცია ,, ანიკამ“ (20 დღიანი პრაქტიკული და თეორიული კურსი);

სამსახურმა ასევე წარმოადგინა:

2.,,დმანისის დღის და ადრეული განვითარების ცენტრის“ დაფუძნების შესახებ ინფორმაცია, რომელიც საწყის ეტაპზე მოემსახურება 16 განსხვავებული საჭიროების მქონე 3 - დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიარებს.

- მერიამ ,,ა(ა)იპ ,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებას“ 10 წლიანი ხელშეკრულების ვადით

გადასცა 173 კვმ. შენობა, სადაც ცენტრი დაიწყებს ფუნქციონირებას 2025 წელს. შენობა გარემონტა, აღიჭურვა ავეჯით;

- დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინასნება განისაზღვა 42 000 ლარის ოდენობით.

- პროგრამა დაამტკიცა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2024 წლის 24 დეკემბრის განკარულებით N8-109.109243592 ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დანართი 20 - ის შესაბამისად.

დანართი:

შშმ პირთა საბჭოს ოქმები

,,დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე საბჭო“

მეგი ედიბერიძე

ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი